ეროვნული
ბიბლიოთეკა

# YOUTH



# GTUC

GEORGIAN TRADE UNIONS CONFEDERATION
საკგ GTUC

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

## აქტივობები




ახალგაზრდული ფორუმი



სემინარები კეჩხობში



საპროტესტო აქცია დვანში



პირველი მაისი



მხარდაჭერა მეხანძრე მაშველებს



კინოკლუბი



გახდი სოლიდარული ახალგაზრდა, იბრძოლე სამართლიანობისთვის !

2013 წლის მარტში, პროფესიული კავშირების ახალგაზრდულ ორგანიზაციაში შეიქმნა შვიდი გაერთიანება: სტუდენტების, სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდული არასამთავრობოების, პროფესიული კავშირების გაერთიანებაში შემავალი დარგების, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების, მასმედიის წარმომადგენლების, სპორტის და სხვა ახალგაზრდების გაერთიანება. ჩატარდა ფორუმი პროფკავშირების კულტურის ცენტრში და გაიმართა ახალგაზრდული ორგანიზაციის პრეზენტაცია. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით მოეწყო სამდღიანი სემინარი კეჩხობში, ორმოცდაათი ახალგაზრდისთვის, რომელსაც უძღვებოდნენ ჩეხეთისა და გერმანიის პროფკავშირების ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი აქცია სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის იდეით, ასევე ჩატარდა სემინარები ქვეყნის მასშტაბით, ახალგაზრდული ორგანიზაციის მონაწილეობით.

ორგანიზაციის შემოქმედებითმა ჯგუფმა სოციალური ქსელში განათავსა მრავალი პოპულარული სოციალური ვიდეორგოლი.

პროფკავშირების ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა სტუდენტების ჯანმრთელობის დაზღვევის მხარდამჭერი კანონპროექტი და წარადგინა საქართველოს პარლამენტში.

ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა პროექტი „სტუდენტების სტაჟირება სოფლის მეურნეობის სფეროში“.

## მიმდინარე აქტივობები

- ✓ ორგანიზიციაში ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სემინარებში და ტრეინინგებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე ქვეყნის გარეთ;
- ✓ ორგანიზაცია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით აწყობს სხვადასხვა სახის კონკურსებს;
- ✓ ფუნქციონირებს კინოკლუბი, რომელსაც მხოლოდ წევრი ახალგაზრდები ესწრებიან;
- ✓ იგეგმება და ხორციელდება აქცია-მანიფესტაციები;
- ✓ ხდება ვიდეორგოლების გადაღება და გავრცელება სხვადასხვა სოციალურ თემაზე.

- ✓ ახალგაზრდა დასაქმებულების და პოტენციური დასაქმებულების უფლებების დაცვა;
- ✓ ახალგაზრდების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში;
- ✓ ახალგაზრდების შრომითი,სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინტერესების დაცვა;
- ✓ შრომით ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრება;
- ✓ გენდერული თანასწორობის დაცვა;
- ✓ უმაღლეს სასწავლებლებში და პროფესიულ კოლეჯებში სტუდენტების უფლებების დაცვა,
- ✓ ორგანიზაციაში შემავალი გაერთიანებების ან ინდივიდების თავისუფალი განვითარების და გაძლიერების ხელშეწყობა;
- ✓ ახალგაზრდებისთვის თავიანთი უფლებების და თავისუფლებების ახსნა-განმარტება;
- ✓ ადამიანის ძირითადი თავისუფლებებისა და უფლებების,მათ შორის გაფიცვის უფლების,სოციალური თანხმობის,მშვიდობის დაცვისა და ახალგაზრდული ორგანიზაციის თავისუფალი საქმიანობისათვის აუცილებელი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

# შემოგვიერთდით!


მის: ვაჟა-ფშაველას 1/43, 0186

თბილისი, საქართველო

Tel: +995 322 38 29 95

Website: http://www.gtuc.ge

E-mail: youthgtuc@yahoo.com

facebook https://www.facebook.com/youthgtuc


ეროვნული ბიბლიოთეკა